ოქმი:**ო31. 3124158001**
თარიღი:**06/06/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი

05. 06. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 თებერვლის N232 და 29 მარტის N447 განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოიყო 3100 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 163158 ლარი, სულ პროექტის მთლიანი ღირებულება (მიმდინარე საფინანსო წელს ასანაზღაურებელი) 3263158 ლარი. ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქN144-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაციაზე გამოიყო 137202 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 7222 ლარი სულ პროექტის ღირებულება 144424 ლარი. ქ.ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობაზე გამოიყო 806776 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 42462 ლარი, სულ პროექტის ღირებულება (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი) 849238 ლარი. ბენეფიციართა საკვები პროდუქტების მიწოდების ჯერადობის ზრდიდან გამომდინარე მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 8650 ლარით. თანადაფინანსებისა და პროგრამების დამატებით დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი 221492 ლარით, მათ შორის შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 163158 ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსავალი 58334 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 29 თებერვლის N271 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოიყო 120000 გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგების (მოსახლეობისათვის ხის მასალის და თუნუქის შეძენისათვის.) სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (IZ) პროექტ ,,ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CES)-ს ფარგლებში იგეგმება მდინარე ფიჩორის ნაპირზე, მოწყობილი ინფრასტრუქტურის მიმდებარედ ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა, მდინარე ფიჩორზე ღია კაფე ბარის მოწყობა, 2 ცალი ელექტრო ძრავიანი, ე.წ. „ჭაობის“ ნავის და 4 ცალი სკუტერის შეძენა. სულ პროექტის ღირებულება შეადგენს 615000 ლარს. აქედან (თანადაფინანსება ასახულია დამტკიცებულ ბიუჯეტში) გრანტი 500000 ლარი უნდა აისახოს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში, ხოლო ხარჯვით ნაწილში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისაგან „გოეთე“-ს ინსტიტუტის ფილიალისაგან საქართველოში (საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 მაისის N701 განკარგულების თანხმობით) მიიღო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „Creative Compass Georgia“ ფარგლებში 5000 (ხუთი ათასი) ევრო, რომელიც 14770 ლარია რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტში კერძოდ: მერიის საქონელი და მომსახურების მუხლში 5770 ლარი და არაფინანსურ აქტივების მუხლში 9000 ლარი. (დრონი და ფოტოაპარატის შესაძენად). განათლების ხელშეწყობის სუბსიდიის მუხლის 2750 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გრანტის დაფინანსების მუხლი 2750 ლარით. სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა. კერძოდ, სარეაბილიტაციო ქუჩების ჩამონათვალში გოგიჩაიშვილის ქუჩის ნაცვლად უნდა ეწეროს გოგებაშვილის ქუჩა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია მუხლებს შორის თანხების გადაადგილებით და არა რომელიმე მიმართულებით მისი ზრდით, მხოლოდ უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება გაიზარდა 5%-ით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N8(05.06.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიძინა 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც იმოძრავებს კონკრეტულ მარშრუტებზე. დადგენილების პრეამბულაში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აუცილებელია საკრებულომ განსაზღვროს სამგზავრო ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა -2 ლარი;

2. ლანჩხუთი-ჯაპანა 1 ლარი;

3. ლანჩხუთი-ეწერი 1 ლარი;

4. ლანჩხუთი-აცანა-მამათი 2 ლარი;

5. ლანჩხუთი-ჩოჩხათი-გულიანი 2 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მოემსახურება 5 ახალი თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული და ადაპტირებული სამგზავრო ტრანსპორტი, რომლის ტარიფები წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოსახლეობისთვის მისაღები იქნება და ყველას მიულოცა ეს ფაქტი. მისი განცხადებით, ქართული ოცნება ორიენტირებულია საქმეზე და გრძელდება მოსახლეობის საკეთილდღეო ნაბიჯების გადადგმა, რისი ნათელი მაგალითია დღევანდელი დღეც, როცა სწორედ ქართული ოცნების ხელისუფლების პერიოდში, მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა ახალი ავტობუსების შეძენა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** მადლობა გადაუხადა ქართული ოცნების გუნდს კიდევ ერთი კარგი საქმისთვის, მოსახლეობისთვის მიცემული კიდევ ერთი პირობის შესრულებისთვის. დასასრულს, მან წარმატებები უსურვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს და აღნიშნა, რომ „დავპირდით და გავაკეთეთ, ასე გაგრძელდება მომავალშიც“.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ისტორიაში ნამდვილად სასიამოვნო სიახლეა სამგზავრო გადაყვანის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მთავრობის ადმინისტრაციას. მას ისიც ახარებს, რომ ამ ფაქტს მოჰყვა უამრავი დადებითი

გამოხმაურება, მაგრამ კიდევ დარჩენილია გარკვეული გამოწვევები რამდენიმე სოფელში, მათ შორის ერთ-ერთია აკეთი სადაც რვა მეტრიან ავტობუსს გაუჭირდებოდა მოძრაობა, ამიტომ მთავრობის ადმინისტრაციასთან მიდის მოლაპარაკება დამატებით სამი მიკროავტობუსის შეძენაზე, რომელთაგან ერთი იმოძრავებს აკეთის მიმართულებით, ხოლო ორი განაწილდება სხვა სოფლებში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N32(05.06.2024).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

5 ივნისი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 45	
2	ემზარ თევდორაძე		
3	ვერიკო კვირკველია	11:56	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 35	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 35	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 45	
9	გიორგი იმნაიშვილი	ჯვეთლილ	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	ვითანხმ	
12	მაკა მშვიდობაძე	ჯვეთლილ	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 52	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე	11 36	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11 – 52.	
19	გიორგი გოგუაძე	ითანხმ	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 48	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	1130	
25	ირმა მგელაძე	ბოიკოტი	
26	გივი ცინცაძე	ბოიკოტი	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	1200	